

## იჯარის ხელშეკრულება N188

ქ. ბათუმი

18 დეკემბერი 2020 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელმომწერნი ერთის მხრივ, შპს „შავი ზღვის ტერმინალი“ წარმოდგენილი უფლებამოსილი წარმომადგენლის დავით მამალაძის (დაბ. 20.11.1982წ. პ/ნ 42001008277) სახით (შემდგომში - მეიჯარე), რომელიც მოქმედებს თანახმად მინდობილობისა N SCRK/LO-20/12-1202, გაცემული 2020 წლის 18 დეკემბერს და მეორეს მხრივ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის მოადგილის ვახტანგ მიქელაიშვილის სახით, (შემდგომში - მოიჯარე) ერთად წოდებული „მხარეები“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 17 დეკემბრის N5247 განკარგულების (SMP200005260) საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### **მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი:**

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით მოიჯარე დროებით სარგებლობასა და მფლობელობაში იღებს მეიჯარის საკუთრებაში არსებულ გემების მოძრაობის მონიტორინგის სისტემის აპარატურას - დანართი N1 (რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) (VTS აპარატურა), რომელიც მდებარეობს ხობის რ/ნი სოფ. ყულევში (CPV 70200000 - კერძო საკუთრების იჯარით გაცემა). მოიჯარე იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მეიჯარეს საიჯარო ქონებით სარგებლობის ქირა (შემდეგში - საიჯარო ქირა) (SMP200005260), წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და პირობებით.

### **მუხლი 2. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების წესი:**

2.1 მოიჯარე პირველ მუხლში აღნიშნული აპარატურის სარგებლობისთვის იხდის საიჯარო ქირას ყოველთვიურად 5400 (ხუთიათასოთხასი) ლარს. საიჯარო ქირის წლიური ღირებულებაა 32400 (ოცდათორმეტიათასოთხასი) ლარი.

2.2. მოიჯარე ანგარიშსწორებას განახორციელებს შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;

გ) საიჯარო ქირა გადაიხდევინება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან ყოველთვიურად, ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე მეიჯარის საბანკო

ანგარიშზე. თუ ანგარისწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარისწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

2.3. მოიჯარე საიჯარო ქირას იხდის 2021 წლის 01 იანვრიდან - 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით;

2.4. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია „მოიჯარე“;

### **მუხლი 3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები:**

3.1. მეიჯარე ვალდებულია:

ა) გადასცეს მოიჯარეს საიჯარო ქონება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სათანადო მდგომარეობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის;

ბ) ხელი არ შეუშალოს მოიჯარის მიერ იჯარით გადაცემული საიჯარო ქონების სარგებლობას;

გ) იჯარის ხელშეკრულების პერიოდში VTS აპარატურის ტექნიკური მომსახურება განახორციელოს თავისი რესურსით.

3.2. მეიჯარე უფლებამოსილია:

ა) საიჯარო ქონებასთან დაკავშირებით არ დადოს ისეთი გარიგება, რამაც შეიძლება გააძნელოს ან შეუძლებელი გახადოს მოიჯარის მიერ ამ ხელშეკრულების შესრულება;

ბ) მოითხოვოს მოიჯარისაგან საიჯარო ქირის გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის მოთხოვნათა დაცვით;

გ) გაფრთხილების მიუხედავად ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის განმეორებით გამოვლენის შემთხვევაში და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება;

დ) გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

3.3. მოიჯარე ვალდებულია:

ა) წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის პირობების შესაბამისად გადაიხადოს საიჯარო ქირა;

ბ) მიიღოს ხელშეკრულებაში აღნიშნული საიჯარო ქონება და მიზნობრივად გამოიყენოს იგი;

გ) ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ჩააბაროს მეიჯარეს საიჯარო ქონება.

დ) არ განახორციელოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებები საიჯარო ქონების მიმართ;

3.4. მოიჯარეს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს იჯარის ხელშეკრულების ვადამდე მოშლა, რის შესახებაც იგი ვალდებულია აცნობოს მეიჯარეს 10 დღით ადრე წერილობითი ფორმით.

#### **მუხლი 4. საიჯარო ქონების გადაცემის და უკან დაბრუნების წესი**

4.1. საიჯარო ქონების გადაცემა ხორციელდება მხარეთა მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

4.2. საიჯარო ქონება მოიჯარეს უნდა გადაეცეს წინამდებარე ხელშეკრულების ხელის მოწერიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღეში.

4.3. მოიჯარე ვალდებულია საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში დაუბრუნოს საიჯარო ქონება მეიჯარეს.

4.4. საიჯარო ქონების დაბრუნება ხორციელდება მხარეთა მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

#### **მუხლი 5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა; მოქმედების ვადა და ხელშეკრულების ვადამდე მოშლა:**

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე, იჯარის ვადა განისაზღვრება 6 თვით - 2021 წლის 01 იანვრიდან - 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულება მოქმედებს 2021 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

5.2 ხელშეკრულების ვადა შეიძლება გაგრძელდეს, თუ ამის შესახებ ხელშეკრულების 5.1 პუნქტში აღნიშნული ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 1 (ერთი) თვისა მოიჯარე წერილობით მოითხოვს იჯარის ხელშეკრულების გაგრძელებას და თუკი მეიჯარე ამის თანხმობას განაცხადებს;

5.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან, ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში მოშალონ ხელშეკრულება ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდეც.

5.4 მეიჯარეს უფლება აქვს იჯარის ვადის გასვლამდე, მოშალოს ხელშეკრულება თუ მოიჯარე:

ა) დანიშნულებისამებრ არ იყენებს საიჯარო ქონებას;

ბ) არ იხდის საიჯარო ქირას ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლიდან 2 თვის განმავლობაში.

გ) განზრახ ან დაუდევრობით აუარესებს საიჯარო ქონების მდგომარეობას.

## **მუხლი 6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:**

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მოიჯარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ასეთ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის 0,02 %-ის ოდენობით;

## **მუხლი 7. ცვლილებებისა და დავების გადაწყვეტის წესი:**

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, თუ არ უარესდება საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელი საიჯარო ქირის რაოდენობა, შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით და ფორმდება მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერით. აღნიშნული შეთანხმებები წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7.2. ხელშეკრულების მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოება გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით;

7.3. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაწყვეტს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## **მუხლი 8. ფორს-მაჟორი**

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით:

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მეიჯარისა ან/და მოიჯარის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა;

8.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო ალოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

## მუხლი 9.სხვა პირობები

9.1. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სააგენტოს ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტის საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრის უფროსი ვიტალი ცინცაძე.

9.2. იჯარის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, VTS აპარატურის ნებისმიერი გაუმართაობა/დაზიანების შემთხვევაში, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს გემების მოძრაობის მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირებისას, მოიჯარე ვალდებულია აცნობოს მეიჯარეს აღნიშნულის თაობაზე, რომელზეც დგება გაუმართაობის/დაზიანების ოქმი, რომელსაც ხელს აწერს მხარეები;

9.3. გემების მოძრაობის მონიტორინგის სისტემიდან მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელით გადაეცემა გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ცენტრს, რომელიც მდებარეობს ქ. ბათუმში, სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ ადმინისტრაციულ შენობაში. ოპტიკურ - ბოჭკოვანი ქსელის მოწყობა არის სააგენტოს ვალდებულება.

9.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომელიც მხარეებს გადაეცემათ ელექტრონული ფორმით.

## მუხლი 10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

მოიჯარე:		მეიჯარე:
ს.ს.ი.პ.	საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	შპს შავი ზღვის ტერმინალი
ქ. ბათუმი, ბაქოს ქ. N50		მისამართი: ხობის რ/ნი სოფ. ყულევი
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 631 632;		საიდენტიფიკაციო ნომერი: 204 892 170
საბანკო რეკვიზიტები:		სს საქართველოს ბანკი
სახელმწიფო ხაზინა		ა/ა GE48BG0000000260947600
ბანკის კოდი: TRESGE22;		წარმომადგენელი/მინდობილი პირი
ანგ/ნომერი: 707227058;		დავით მამალაძე
e-mail: info@mta.gov.ge		TEL : +995 32 224 38 38
TEL / FAX: +995 422 27 49 25		

ვახტანგ მიქელაიშვილი

დავით მამალაძე

დანართი N1

N	VTS აღჭურვილობის კომპლექტის შემადგენლობა.	რაო-ბა
1	<p><b>რადარის სენსორი Bridge Master E, შემადგენლობით:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>-ტალღურ ზოლოვანი გამომსხივებელი A30A.464652.001, 5მ. მზრუნავი მოწყობილობა 1A4.225.045 და როტაციის სენსორები;</li> <li>-მომღებ-გადამცემი 65825E, 25კვტ;</li> <li>-ტრანსივერის მართვის კონტროლერი(BME-CU);</li> <li>-კონვერტატორი MicroMaster 420 მართვის პანელით MM4 და კვების ფილტრით;</li> <li>-რადარის პულსების ფორმატორი;</li> <li>- 3 სმ ტალღამტარი ტრაქტი 15 მ;</li> <li>- კვების წყარო 220 VAC / 12 VDC.</li> </ul>	2
2	<p><b>რადარის პროცესორი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სარადარო დამუშავების პლატა RPB ინტერფეისის ბლოკით და კაბელით;</li> <li>- რადარის პროცესორის პერსონალური კომპიუტერი;</li> <li>- რადარის პროცესორის პროგრამული უზრუნველყოფა ORS;</li> <li>- ოპერაციული სისტემა Windows 2000 Professional;</li> <li>-ლოკალური ქსელის კონცენტრატორი 100 მბიტ/წმ;</li> <li>- კარდა 19 (2 ცალი);</li> <li>- კვების დაფა c A3C 19 ;</li> <li>- UPS 220/1ფ/5კვტ.</li> </ul>	2
3	<p><b>VTS VHF აუდიო რეგისტრატორი</b></p>	1
4	<p><b>VTS მონაცემთა ბაზის სერვერი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>-კვ მონაცემთა ბაზისთვის;</li> <li>-VTS მონაცემთა ბაზის პროგრამული უზრუნველყოფა;</li> </ul>	1

	<p>-VTS "VTS Information System";</p> <p>-ოპერაციული სისტემა Windows 2000 Professional.</p>	
5	<p><b>VTS სერვერი:</b></p> <p>-პერსონალური კომპიუტერი;</p> <p>VTS მონაცემთა ბაზის პროგრამული უზრუნველყოფა "VTS Information System";</p> <p>- VTS სერვერის პროგრამული უზრუნველყოფა მონაცემების რეგისტრაციისათვის.</p>	1
6	<p><b>VTS ოპერატორის აღჭურვილობა:</b></p> <p>- მონიტორი TFT 24 - 2 ცალი;</p> <p>- სამუშაო სადგურის PR ;</p> <p>-VTS ოპერატორის კლავიატურა;</p> <p>-ოპერატორის დისპლეის მოდულის პუ "Navi-Harbour" (ტელეკამერის და VTS სხვა სენსორების მართვის შესაძლებლობებით);</p> <p>- ოს Windows 2000 Professional;</p> <p>-ტექნიკური სახელმძღვანელო "Navi-Harbour";</p> <p>-ოპერატორის დისპლეის მოდულის მომხმარებლის სახელმძღვანელო.</p>	2
7	<p><b>ტექნიკური ინჟინრის აღჭურვილობა:</b></p> <p>-მონიტორი 19 - 1 ცალი - კომპიუტერების გადამრთველი (6PC) - ფერადი ლაზერული პრინტერი, A4 - კლავიატურა, მაუსი, საშტატო შემაერთებელი კაბელების კომპლექტი.</p>	1
8	<p><b>საბაზო სადგური DGPS Trimble DCM 232 :</b></p> <p>- DGPS მიმღები საბაზო ფუნქციებით;</p> <p>- ანტენა 30 მ კაბელით;</p> <p>- RS-232 შემაერთებელი.</p>	1
9	<p><b>საბაზო სადგური Transas Redundant UAIS Base Station:</b></p> <p>-დუბლირებული ბლოკი - UAIS/GPS;</p> <p>- მართვის და გამოსახულების მართვის პულტი;</p> <p>-VHF ანტენები 30 მ კაბელით;</p>	1

	<p>- GPS ანტენები 30 მ კაბელით;</p> <p>- კვების ბლოკი 110/220VAC - 24VDC;</p> <p>- ძირითადი და სათადარიგო UAIS - ის გადართვის ბლოკი.</p>	
10	<p><b>VTS VHF რადიოსადგური</b> ICOM.M602, 25 ვტ.,</p> <p>VHF ანტენით და 30 მ კაბელით, კვების წყარო 220/12 ვ.</p>	2
11	<p><b>სამონტაჟო კომპლექტი</b>, კომუტაციის ბლოკები, განმუხტვის პანელი, VHF ფილტრები, ანტენების რელე.</p>	1
12	<p><b>ოპერატორის და ინჟინრის კონსოლები</b></p>	2
13	<p><b>VHF რადიო სადგური</b> p ICOM A110 საჰაერო ხომალდებთან კავშირისათვის VHF ანტენით და 30 მ კაბელით, კვების წყარო 220/12 ვ (ძირითადი და სათადარიგო)</p>	2
14	<p><b>VTS მოწყობილობების</b> ძირითადი და მეორადი გამანაწილებელი ელექტორდაფები</p>	3
15	<p><b>UPS 3 KVA</b></p>	2
16	<p><b>სისტემის და ქსელის</b> სათადარიგო ნაწილები</p>	1
17	<p><b>სამონტაჟო</b> აქსესუარების კომპლექტი კაბელების კომპლექტის ჩათვლით</p>	1
18	<p><b>ნავსადგურის ფლოტთან და სადისპეტჩეროსთან VHF რადიოკავშირის კომპლექტი:</b></p> <p>VHF რ/სდ. ICOM M602, 25 ვტ.,</p> <p>VHF ანტენით და VHF კაბელით 30 მ.</p> <p>კვების წყარო 220/12ვ (ძირითადი და სათადარიგო).</p>	6
19	<p><b>მეტეოსადგური:</b> მეტეოსადგურის პროცესორის ბლოკი</p>	1
20	<p>მეტეოსადგურის პკ პროგრამული უზრუნველყოფით</p>	1
21	<p>მონიტორი 19</p>	1
22	<p><b>ვიდეოკამერა:</b> კამერა</p>	1
23	<p>ვიდეოკამერის მართვის პულტი DCK-255;</p>	1
24	<p>ციფრული რეგისტრატორი DVR ASD 400A;</p>	1
25	<p>მონიტორი 19</p>	1